

პოლიტიკა და ლიტერატურა –
ამბივალენტური მთლიანობა
Politics and Literature – Ambivalent Integrity

Nino Balanchivadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Literature and Ethnic Conflict

Guram Odisharia's book "Return to Sokhumi" appeared when no one could ever imagine that this book would be a kind of curve to negotiate with Abkhazians. When the bilateral Georgian-Abkhazian meeting was scheduled, they asked Abkhazians: "Who will you meet with Georgians? Guram Odisharia ... – was such a writer and loved Abkhazians.

Guram Odisharia himself was willing to meet with Abkhaz Daur Nachkebia. Daur was mourning the brother killed in the war by Georgians and would he like to sit at the table of dialogue was unknown.

In spite of war and conflicts, how unbelievable the fact could be, old friends will surely repent loudly.

Key words: Guram Odisharia, „Return to Sokhumi“, Abkhaz Daur Nachkebia.

ნინო ბალანჩივაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლიტერატურა და ეთნიკური კონფლიქტი

კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე უამრავი წესი და კანონი შექმნა, რათა ადამიანები ერთმანეთისაგან დაეცვა. მიუხედავად ამისა, საუკუნეები გადის და უამრავი ომი, უთანხმო-

ება, მკვლელობა, დაპირისპირება, ეთნოკონფლიქტი დღესაც აქტუალურია. არაერთი პოლიტიკოსი იყენებს ამ დაპირისპირებებს საკუთარი ამბიციებისა თუ პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად მტრის ხატის შექმნითა და შურისძიების ლოზუნგებით.

და თუ გადავხედავთ ახლო წარსულს, დავინახავთ, რომ, ერთი მხრივ, მშრალი ფაქტებია, მეორე მხრივ, ხალხთა ემოციები და შეგრძნებები, რომელთა გამოხატვითაც ლიტერატურა თავის არც თუ ისე შესაშურ საქმეს აკეთებს; შესაშურს, რადგან ლიტერატურა აღძრავს ინტერესს სხვადასხვა ახალ-ახალი სამყაროს აღმოჩენისა და შესწავლისადმი – დაუოკებელ სწრაფვას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია;

ლიტერატურაში ასახული ეპოქის გამოძახილი შესაძლოა ნამდვილ მითად აღიქვას ადამიანმა და არა უბრალოდ ამბად. გურამ დოჩანაშვილი ამბობს: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“ (დოჩანაშვილი 1973: 40).

და მართლაც, როცა უიმედოდ ხარ, გაუსაძლისი ტკივილი გაწუხებს და არც კი იცი რა ქნა, აი, მაშინ ჩნდება მწერალი, რომელიც რაღაც ახალსა და მნიშვნელოვანს, იმედით აღსავსე ახალ სამყაროს აღმოგაჩენინებს, ჩაგაფიქრებს და, რაც მთავარია, გასწავლის ფიქრს სხვის ნაფიქრალზე.

დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ იყო წახალისებული. თავდაპირველად სრულიად მარტივ და უაზრო მიზეზებზე აღმოცენებულმა დაპირისპირებებმა სისხლისღვრა გამოიწვია. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ერთი მხარე მეორეს ადანაშაულებდა და მისი სახით მტრის ხატს ქმნიდა, მეორე – პირველს. შედეგად – ადგილობრივი მაცხოვრებლები დევნილებად იქცნენ.

თუ ჩავთვლით, რომ პოლიტიკოსთა ნაწილი ეთნოკონფლიქტების საწყის ეტაპზე სხვადასხვა ძალადობრივი იარაღით მიზნობრივად ქმნიდა ეთნიკურ სტერეოტიპულ აზროვნებას, ანუ მყარ წარმოდგენას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და ამას იყენებდა საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, მაშინ,

თავის მხრივ, ადვილი ასახსნელი იქნება, რამ შეიძლება შეცვალოს ნეგატიური სტერეოტიპური აზროვნება.

ეთნიკური სტერეოტიპების გაჩენას ხელს უწყობდა საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალური ფონი, რაც პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურაში ნათლად წარმოჩინდება. სხვა სტერეოტიპულ თემებს შორის (გაჭირვება, პატრიოტიზმი, სამართლიანობის სურვილი, პატიება, შეწყალება, დასჯა) ეთნიკური სტერეოტიპების გაჩენას ხელს უწყობდა საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალური ფონი, რაც პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურაში აშკარად იკვეთება (ოხანაშვილი 2018, №6). გამონაკლისი არც გურამ ოდიშარიას შემოქმედებაა: „ჯობდა აფხაზებს მოვეკალი“, „ყველა მთავრობამ და ყველა პოლიტიკოსმა გამწირა“, „ჩვენც ხომ მოგვატყუეს!“ „ჩვენ მოგვატყუეს, მიტინგებით, შემახილებით, გაზეთებით, ცეცხლით, წამებით, დემოკრატიით, იარაღით, ფულით, ომითა და ა.შ. (ოდიშარია 2013: 493-594).

ქართველმა მწერალმა სოხუმში 1993 წლის 27 სექტემბერს დატოვა. სხვებთან ერთად კოდორის ხეობა ფეხით გაიარა, თბილისში ჩამოვიდა... ფულზე მეტად მეგობრობის გულის სითბო ფასობდა მისთვის ... თავშესაფარს ეძებდა... „არავის ვჭირდებით!... არავის, არ უნდივართ. არა, არ უნდა დამეტოვებინე სოხუმო... ვიცი, რომ ყველაზე მეტად შენ გენატრები, ჩემო ქალაქო“, ჭირს თავშესაფრის მოძებნა, გადაჭედულია თბილისი, აჭრელდა რუსთაველი“... გაუსამღისია აქ დარჩენა, გამოსავალი თითქოს გაქცევაშია, პურის გაუთავებელი რიგები, გადაჭედულია მეტროს ვაგონები.. ჩაუწვდომელია უფლის ნება.. ბოლოს კი, დაბინავდა მწერალთა სანახევროდ დანგრეულ სახლთან ყოფილ კომკავშირის ცეკას შენობაში, ბერიას აჩრდილის სახლში, სადაც მე-2 და მე-3 სართულებზე თბილისის ომის შემდეგ სახლებგადამწვარი უბინაოდ დაჩენილი თბილისელები, თბილისელი ლტოლვილები ცხოვრობდნენ. არც ეს არის შემთხვევითი, თბილისში რუსთაველზე დაიწყო და სოხუმში დამთავრდა ომი; ომი, რომელიც ყველაფერს ანადგურებს: რწმენას, სიყვარულს, ერთიანობის განცდასა და შეგრძნებას. ამ დროს, როცა ქვეყანა გენგრევა თავზე, როცა ხედავ, როგორ კლავს შენი ძმა შენსავე ძმას, თითქმის შეუძლებელია შეინარჩუნო პრინციპები და პრიორიტეტები ურყევად...

ომის სისასტიკე ადამიანის სულიერი სამყაროს ნგრევას იწვევს; რწმენადაკარგული, უსიყვარულო ადამიანები კი ძლიერ ქვეყანას ვერასოდეს ააშენებენ. იცის ეს ყველაფერი მწერალმა, იცის, რომ ორივე მხარე მოტყუვდა. მოტყუებულია ქართველიც და აფხაზიც. მოტყუებულია ის, ვინც შურისძიებაზე ფიქრობს და ისიც, ვინც გამარჯვების მორიგ წლისთავს აღნიშნავს სოხუმში. იმის გააზრება, რომ მოტყუებული ხარ, საკუთარი შეცდომის აღიარებასაც გულისხმობს (ოდიშარია 2013: 501-508).

„ჩენ არავინ გვეტყვის ბოდიშს ომის გამო.

არც ჩვენ და არც სხვებს.

არავინ გვეტყვის.

არასოდეს გეტყვის.

ისევ ჩვენ, ჩემო ძვირფასო ლტოლვილებო... განა „დევნილებო“ და განა „იძულებით გადაადგილებულო პირებო“? ისევ ჩვენ, ჩემო ძვირფასებო, უნდა ვუთხრათ ერთმანეთს ბოდიში.

ყველამ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს:

გვაპატიეთ!

გვაპატიეთ!

გვაპატიეთ!..

და ფიცი დავდოთ, რომ არასოდეს ვაწყენინებთ ერთმანეთს და ვიქნებით ერთად..“

„ვისწავლოთ ბუნებისაგან – მარტოდმარტო არცერთი ფრინველი დაბრუნდება მშობლიურ ბუდე“ (ოდიშარია 2013: 533).

ბიოგრაფიული თუ ავტობიოგრაფიული ჩანართები თხრობაში, კონფლიქტის დროს უშუალოდ განცდილი და წლების შემდეგ გადაფასებული შეხედულებები მწერლის სრულიად განსხვავებული ემოციების თანაზიარს ხდის მკითხველს.

გურამ ოდიშარია წერს: „შარშან ზამთარში ერთი ხანშიშესული სოხუმელი შემხვდა და მითხრა: სოხუმის დატოვების შემდეგ არ მეძინა მთელი ღამეები, ვეწამებოდი. ბოლოს ასეთ რამეს მივაკვლიე, სოხუმში დავიწყე დაბრუნება, ძილის წინ სულ სოხუმში დავხეტიალობ და მერე ტკბილად მეძინება“. სოხუმში დაბრუნება ავტორს მხოლოდ იმ ძველი ნაცნობის გამოგონებად მიაჩნდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ყველა სოხუმელი ამგვარად ბრუნდებოდა სოხუმში და ძილის წინ ასე დაეხეტებოდა მის ქუჩებში. სოხუმში

და დაბრუნება ეს ორი სიტყვა ნეტარებად ექცა ავტორთან ერთად ყველას, ვინც კი ოდიშარიას რომანები წაიკითხა (ოდიშარია 2013: 593).

გურამ ოდიშარიას წიგნი „სოხუმში დაბრუნება“ გამოჩნდა მაშინ, როცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს წიგნი იქნებოდა ერთგვარი გზა აფხაზებთან მოსალაპარაკებლად. როცა ორმხრივი, ქართულ-აფხაზური, შეხვედრა დაიგეგმა, ჰკითხეს აფხაზებს: „ვის შეხვედებით ქართველებიდანო? გურამ ოდიშარიას... – იყო ასეთი მწერალი და უყვარდა აფხაზებიო“.

თავად გურამ ოდიშარიამ აფხაზთაგან დაურ ნაწყებისათნ შეხვედრა ისურვა. დაური კი ქართველების მიერ ომში მოკლულ ძმას გლოვობდა და ისურვებდა თუ არა დიალოგის მაგიდასთან დაჯდომას საკითხავი იყო.

გურამ ოდიშარია იხსენებს, რომ უკვე გამოცემული ჰქონდა წიგნი „სოხუმში დაბრუნება“: „წავუწერე: „Даур, извини и меня тоже“ და გავუგზავნე. დაურმა წაიკითხა ჩემი წიგნი და გამომიგზავნა თავისი მოთხრობა „Я, мертвый“ (შემდეგ სახელი შეუცვალა და დაარქვა „Скоро осень“)... და ეს დიალოგი, სხვადასხვა მხარეს მდგომი ერთ დროს ერთ ქალაქში მცხოვრები ორი მწერლის ემოციებსა და შეგრძნებებს მხოლოდ ერთადერთი ფორმით თუ გამოხატავს და ეს არის ლიტერატურა.

გურამ ოდიშარია რადიო თავისუფლებისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „როდესაც იბრძვიან, მტერს შორიდან ხედავენ, ესვრიან სილუეტს, ომის დროს იშვიათია, რომ ერთმანეთს თვალეში ჩახედონ... აი, სანგრის ხალხმა მითხრა: ტყეში მიდის და ხვდება ჩასაფრებულ მტერს, აფხაზ კაცს... მან მითხრა, რომ ამ დროს მისთვის მტერი გაქრა, ვუთხარიო, „წადი, შენც მებრძოლი ხარ, მეც მებრძოლი ვარ...“ (რადიო „თავისუფლება“ 2004). ეს წიგნი სწორედ ყველაზე შორეულზე და ყველაზე ახლობელზე – ქართველებისა და აფხაზების მტრობასა და სიყვარულზეა.

გურამ ოდიშარია საუბრობს არა აფხაზეთის შესახებ, არამედ თავად აფხაზეთთან, არა აფხაზეთის ზღვის შესახებ, არამედ ზღვასთან; მშობლიურ სახლთან, თითოეულ ქუჩასთან და ემოციებს ვერა და ვერა მოუხერხა რა, არც უცდია დამალვა: „მე შენ მიყვარხარ!“ ამ მაგიურ სიტყვებს „მე შენ მიყვარხარ“ მრავალჯამიერ იმეორებს ავტორი: „შენ ხომ კარგად იცი, როგორ მიყვარხარ!“ და

სწამს, – ბოროტება რომ დამარცხდეს, ბოროტებას უნდა ებრძოლოს და არა ბოროტს, დანაშაულს უნდა ებრძოლოს და არა დამნაშავეს, მტრობა და სიმუღვილი ქვეყანას შეიწირავს (ოდიშარია 2013: 489-493).

გურამ ოდიშარია თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უსაშინლეს პერიოდში საკუთარი ცხოვრების თანამგზავრად მონოლოგებს, საკუთარ თავთან დიალოგებს, ირონიასა და ხუმრობას თვლის. იგი ფიქრობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ უღელტეხილის გზით უნდა დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი, რადგან იგი იყო და არის მისი ბედისწერა, მისი სიკვდილი და სიცოცხლე, სასოწარკვეთა და იმედი. სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

„დევენილთა უღელტეხილში“ გურამ ოდიშარია წერს: მშვიდობიანობის ჟამს მხოლოდ ერთეულები გრძნობენ სიყვარულის სიდიადეს, უმრავლესობას კი, ჩვენდა საუბედუროდ, თურმე რაღაც დიდი გასაჭირი სჭირდება თვალის ასახელადო.. ამ დროს „არ არსებობს გიცნობ, არ გიცნობ. აქ ყველა ერთმანეთის ნაცნობია, – უფრო მეტიც – მეგობარი. გაიხლოვდება კაცი, გეუბნება – მომიტეხე პური; თუ გაქვს, უნდა მოუტეხო, თუ გაქვს და არ მოუტეხავ, მთა არ გაპატიებს. დევენილობის ჟამს ეს უდიდესი ცოდვის ტოლფასია...“ თან დასძენს, რომ, თუ ოდესმე საქართველო გადარჩება, გადაარჩენს სიყვარული, სიბრძნე და სიკეთის ძალა, რომელიც ნებისმიერ იარაღზე უძლეველი ძალაა (ოდიშარია 2013: 560-562).

და მართლაც, თვალის ახელაა მთელი მისი პროზა. იგი დარწმუნებულია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მხოლოდ მაშინ მოგვარდება, როცა დაპირისპირებული მხარეები მოინანიებენ და ეს აუცილებლად მოხდება. გურამ ოდიშარიას თქმით, ჯერ კიდევ ომის დროს უამრავმა ქართველმა და აფხაზმა დაძლია თავის თავში „მტრის სახე“ ან უბრალოდ განგებამ დააძლევინა.

მართალია, „უამრავი ფაქტია, როცა ომში აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთი არ დაინდეს, დახოცეს, აწამეს და ა.შ., მაგრამ გურამ ოდიშარია დარწმუნებულია, რომ ქართველი მეომარი, რომელიც დაღუპული აფხაზი მეგობრის ნათესავებმა გამოაცილეს სამშვიდობოს, შურისძიებაზე არასოდეს იფიქრებს, იმაშიც დარწმუნებულია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა გაცილებით უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე შურისძიებაზე ოცნება ან თუნდაც შურისძიების უნარი.

ყველაზე მეტად ვინც გაიწირნენ ამ ომის დროს, არიან ბავშვები; ყველაზე საშინელი, რაც ამ ომმა მოიმოქმედა, ბავშვების სამყაროს დანგრევაა, რადგან იმსიძულვილისაგან, რომელიც ბავშვობის დროს ჩაიბუდება, ძნელია თავის დაღწევა. გურამ ოდიშარია იხსენებს, ერთ ამბავს, ომის დროს როგორ კატეგორიულად მოსთხოვა შვილმა მამას ქალაქში მტრისა და ქართული თვითმფრინავების დახატვა, შემდეგ წითელი ფლომასტერით როგორ გაავლო ხაზი ქართული თვითმფრინავიდან მტრის თვითმფრინავამდე და როგორ ააფეთქა იგი, ბოლოს კი როგორი კმაყოფილი და გაბრწყინებული თვალებით ახედა მამას: მან ხომ მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო? ავტორის თქმით, ეს ამბავი შემადრწუნებელი იმითაა, რომ ბიჭმა კი არ ითამაშა ომობანა რომელიმე კომპიუტერული თამაშით, არამედ მთელი გზებითა და ენერჯის მობილიზებით ნამდვილად იომა და თავისი ვალი მოიხადა ქვეყნის წინაშე.

დღეს ის ბიჭი ლტოლვილია – ამბობს ოდიშარია – და თბილისში ცხოვრობს, მისთვის ყოველი ძალადობა ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული დამანგრეველია. სწორედ ეს აწუხებდა გურამ ოდიშარიას, რადგან იცის, რომ ამ ბიჭისათვის ომი არ დამთავრდება და გაგრძელდება; გაგრძელდება მისი მრისხანებაც, შურისძიებაც. მისთვის ყოველი ძალადობა ბავშვობაში განცდილის შეხსენებაა. როდესაც გაუგია, რომ ზოპარკში დათვი დაკლეს, მშვიერი ცხოველების გამოსაკვებად გაოგნებულა (ოდიშარია 2013: 661–662).

არა და გურამ ოდიშარია დარწმუნებულია, რომ „მიმტვევბელი კაცი კაცობრიობის მხსნელია“ და რომ „ქვეყნის ზნეობრივი მთლიანობა ბევრად მნიშვნელოვანია ტერიტორიულ მთლიანობაზე“. ქართველისათვის აფხაზეთი ტერიტორიული მთლიანობააო, აფხაზისათვის კი აფხაზეთია. ამიტომ არაერთ ფაქტს იხსენებს გურამ ოდიშარია, როცა ქართველი აფხაზს და აფხაზი ქართველს კი არ კლავს, არამედ სიკვდილისაგან იხსნის. ამგვარი ისტორიები კი იმედს აძლევს მწერალს იფიქროს, რომ ... შერიგება აუცილებლად იქნება: „მშვიდობა ვაჟკაცების საქმეა, ეს სიყვარულის საქმეა“. სწორედ ამიტომ ხშირად იმეორებს ფრაზას „მე შენ მიყვარხარ, მე შენ მიყვარხარ“ და ა.შ.

გურამ ოდიშარიას თავის სოხუმელ მეგობრებთან კონტაქტი არასოდეს დაუკარგავს. უფრო მეტიც, ორივე მხარე აგროვებს აფხაზთა და ქართველთა თანაცხოვრების ამსახველ მასალებს,

გვიამბობს ადამიანებზე, რომელთა სულიერი ზრდა სწორედ კონფლიქტის დროს მოხდა. ერთი ქალაქიდან სხვადასხვა მხარეს გასული მწერლები ერთმანეთს წიგნებით უყვებოდნენ თავიანთ თავგადასავლებს. მერეც, როცა დაურ ნაჭყებამ და გურამ ოდიშარიამ ერთმანეთი პირისპირ ნახეს, ლაპარაკით ბევრი ვერაფერი უთხრეს ერთმანეთს. იქ დაინახეს, რომ არ შეუძლიათ მონანიების ხმამაღლა გაცხადებულად თქმა, ეს წიგნების მეშვეობით უფრო უკეთესად გამოსდიოდათ. ამიტომ საკუთარ ნააზრევს თარგმნიდნენ და ერთმანეთს უგზავნიდნენ.

გურამ ოდიშარია ხატავს ადამიანთა ტიპებს, ხასიათებს, აჩვენებს, რომ, მიუხედავად ომისა, მიუხედავად ურთიერთმტრობისა, ძველი ნაცნობ-მეგობრები არ დალატობენ ერთმანეთს, ძველ კეთილმეზობლურ და კეთილმეგობრულ ურთიერთობას მაინც ინარჩუნებენ და, რაც მთავარია, ინარჩუნებენ რწმენას, რომ ეს ორი ხალხი შერიგდება და ერთ დიდ სახლში გაარძელებს მეგობრულ ცხოვრებას. ამ საქმეში კი მხატვრული ლიტერატურა მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის

ეს აუცილებლად მოხდება, ალბათ დრო სჭირდება, დრო არა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, არამედ ადამიანური ურთიერთობების, გულისტკივილისა და იმ გამოცდილების გაზიარებისათვის, რომელიც ომმა შესძინა ორივე მხარეს. ალბათ ამიტომ აღმოხდა სოხუმში მომაკვდავ მწერალს, დაურ ზანთარიას, სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე ამგვარი სიტყვები: სანამ ჩვენსა და ქართველებს შორის კულტურული ურთიერთობები არ აღდგება, იქამდე გარდაუვალია ახალი ომი (დოლენჯაშვილი 2010).

დამოწმებანი:

დოლენჯაშვილი 2010: დოლენჯაშვილი თ. „ლიტერატურამ უნდა დაიბრუნოს თავისი მივიწყებული მისია – მხარში ამოუდგეს, გაამხნევოს და დაიცვას ადამიანი“. ინტერვიუ გურამ ოდიშარიათან. გაზ. „24 საათი“, 28 ნოემბერი, 2010.

დოჩანაშვილი 1973: დოჩანაშვილი გ. კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. თბილისი: 1973.

რადიო თავისუფლება 2004: რადიო თავისუფლება. „მშვიდობა ვაჟკაცების საქმეა“. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1537393.html>, 27 სექტემბერი, 2004.

ოდიშარია 2013: ოდიშარია გ. სოხუმში დაბრუნება. ქართული პროზის შედეგები. 2013.

ოხანაშვილი 2018: ოხანაშვილი ნ. *პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები: მასების და ელიტების ძალადობა*. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, №6, თებერვალი, 2018.

წიწკოლაური 2009: წიწკოლაური დ. „მხატვრული აზროვნება და ღირებულებითი ორიენტაციის რაობა“. *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*. ნაწილი II. თბილისი: 2009.

Tamar Barbakadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Structure of Classic Georgian Verse – a Spiritual Shelter in Besik Kharanauli’s Poetry in the 1990s

Besik Kharanauli is a classic of Georgian free verse. In the verses of the 90s, Besik Kharanauli begins to bemoan himself using classical metres (isosyllabic: with symmetric ten syllables, „low shairi“ and heterosyllabic meters), the strophe composed of broken lines, rhyme.

The lullaby „nana, saqartvelos miwav!“ performed with high shairi is tragic. The civil war broke out in the 1990s arises in our mind with high shairi, rhyme and monostrophe.

It is noteworthy that in the collection published in 2015 „qvavi xis vverze isaghmoeb“ (The crow settles in the treetop) Besik Kharanauli again chooses free verse as a form of self-expression.

Key words: Besik Kharanauli, free verse, classical metres.